ენისა და მეტყველების თერაპევტებისა და ქცევითი თერაპევტების ინტერდისციპლინური მუშაობის გავლენა აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვის კომუნიკაციაზე

(ერთი შემთხვევის ანალიზი)

ანანო გოგილიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო გოგიჩაძე, მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ადამიანებს, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი და მხარს მიჭერდნენ ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო, სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ქნ. ნინო გოგიჩაძეს , ნაშრომზე მუშაობის პროცესში მუდ-მივი ჩართულობისა და უკუკავშირებისათვის.

მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო კვლევაში უშუალოდ მონაწილე პირებს, ქცევით თერაპევტს, ია ლომინაშვილს რომელიც აქტიურად იყო ჩართული ინტერდისციპლინური გუნდის მუაობის პროცესში. ასევე კვლვეაში მონაწილე ბავშვის მშობელს, ნდობისათვის და მხარდაჭერისთვის, რომელსაც მუდმივად ვგრძნობდი კვლევის განმავლობაში.

მადლობას ვუხდი მენტალური ჯანმრთელობის ცენტრ „გამმას“ ხელმძღვანელს, ქალბატონ მაია გაბუნიას, კვლვევისთვის საჭირო სივრცის დათმობისა და მხარდაჭერისთვის.

აბსტრაქტი

კოლაბორაციული პრაქტიკა აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებთან მუშაობის სფეროში შეიძლება ჩაითვალოს წარმატების უმნიშვნელოვანეს წინაპირობად. სწორედ ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით განხორციელდა მოცემული კვლევა და მიზნად ისახავს ორი დისციპლინის წარმომადგენლის - კომუნიკაციის, ენისა და მეტყველებისა და ქცევითი თერაპევტის, ასევე მშობლისაგან შემდგარი ინტერდისციპლინური გუნდის მუშაობის შესწავლას. კვლევის მიზანია დაადგინოს, როგორ აისახება ინტერდისციპლინური გუნდის შეთანხმებული მუშაობა ბავშვის კომუნიკაციაზე და თერაპევტების ქცევაზე.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო აუტიზმის სპექტრის მქონე ერთმა ბავშვმა, მის ირგვლივ გაერთიანებულმა ორმა თერაპევტმა და მშობელმა. კვლევის მეთოდად შეირჩა ექსპერიმენტული დიზაინი, ხოლო მონაცემების შედარებისათვის გამოყენებული იქნა მრავლობითი საფუძვლის მონაცემები სიტუაციებს შორის.

კვლევის განმავლობაში ჩატარდა ინტერდისციპლინური გუნდის 3 შეხვედრა და 24 ინტერვენცია - 12 ენისა და მეტყველების თერაპია და 12 ქცევის თერაპია. აღნიშნული თერაპიები ინტერდისციპლინური გუნდის შეხვედრების განმავლობაში შეთანხმებულ მიზნებსა და მეთოდებს ეფუძნებოდა.

მონაცემების კოდირებისა და ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ინტერდისციპლინური გუნდის მუშაობა დადებითად აისახა ბავშვის საკომუნიკაციო განზრახვებსა და საკომუნიკაციო ქცევებზე, გარდა ამისა, მიღებული შედეგები ადასტურებს თერაპევტების ქცევების ცვლილებას, კომუნიკაციაზე მუშაობის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: კოლაბორაცია, *ინტერდისციპლინური გუნდი, კომუნიკაცია, აუტიზმის სპექტრი*

Abstract

Collaborative practice in the field of working with children with autism spectrum can be considered the most important prerequisite for success. This study was based on the mentioned view and aims to study the work of the group consisting of representatives of two disciplines - communication, language, and speech and behaviour therapist, as well as an interdisciplinary team consisting of parents. The aim of the study is to determine how the coordinated work of the interdisciplinary team affects the child's communication and therapists' behaviour.

The study involved one child with an autism spectrum, two therapists and a parent united around him. The experimental design was selected as the research method and for comparing the data - a multiple basis design between situations was used.

During the study, 3 interdisciplinary team meetings and 24 interventions were conducted - 12 language and speech therapies and 12 behaviour therapies. These therapies were based on agreed goals and methods during the interdisciplinary team meetings.

Coding and analysis of the data revealed that the work of the interdisciplinary team had a positive impact on the child's communication intentions and communication behaviours; in addition, the results obtained confirm the change in the behaviours of therapists in the process of working on communication.

Keywords: *collaboration, interdisciplinary team, communication, autism spectrum*